



სსიპ საი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის

ბრძანება

№ 66/04

„5“ თვე... 2013...

ქ.თბილისი

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში 2013 წლის 13 ივლისს გასამართ
სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული პროცედურების
განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 30 მაისის №101/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 12 აპრილის №71/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესისა და პირობების მე-9 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში 2013 წლის 13 ივლისს გასამართ სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობასთან დაკავშირებული პროცედურები №1 დანართის შესაბამისად.
2. საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირებს (კანდიდატებს) სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მიენიჭოთ უნიკალური კოდები ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

დავით აზმაიფარაშვილი

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში 2013 წლის 13 ივლისს გასამართ სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული პროცედურები

- სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში 2013 წლის 13 ივლისს გასამართი სასერტიფიკაციო გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი, იწყება 10 საათსა და 00 წუთზე და მთავრდება 13 საათსა და 00 წუთზე. კანდიდატი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს 09:45 საათზე;
- გამოცდის დაწყებამდე წარმოებს კანდიდატთა დასწრების აღრიცხვა (ადმინისტრატორის მიერ) რასაც კანდიდატი ადასტურებს ხელმოწერით.
- საგამოცდო პროცედურებთან დაკავშირებით გამოცდის დაწყებამდე კანდიდატებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი, კერძოდ:
 - ა) გამოცდაზე დამსწრე დამკვირვებლებისა და ვიდუო გადაღების შესახებ;
 - ბ) გამოცდის ხანგრძლივობის თაობაზე;
 - გ) გამოცდაზე დასაშვებ და აკრძალულ ნივთებთან დაკავშირებით (დასაშვები - წყალი, პირადი ჰიგიენის საგნები; აკრძალული - მობილური ტელეფონი ან სხვა ელექტრონული აპარატურა, დამხმარე მასალა, სახელმძღვანელოები, ჩანაწერები, ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი „გელიანი კალმის“ გარდა სხვა კალამი და სხვ.);
 - დ) გამოცდაზე ქცევის წესებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციების თაობაზე (გაფრთხილება, გამოცდიდან მოხსნა);
 - ე) ტესტური დავალებებისა და პასუხების ფურცლების გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - ვ) გამოცდისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდგომ ტესტურ დავალებაზე მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი ტესტური დავალების, პასუხების ფურცლისა და სხვა საგნების ჩაბარების თაობაზე;
 - ზ) გამოცდის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებასთან და შედეგების გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით.
- ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდგომ ხდება კანდიდატთა განთავსება საგამოცდო ოთახში;
- გამოცდის დაწყებამდე კანდიდატებს საგამოცდო ოთახში გადაეცემათ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი ტესტური დავალებები, პასუხების ფურცლები და „გელიანი კალმები“.
- კანდიდატის დაგვიანების შემთხვევაში, იგი დაიშვება გამოცდაზე, მას დამატებითი დრო არ მიეცემა;
- გამოცდის მიმდინარეობის დროს კანდიდატის მხრიდან დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელი ადგენს შესაბამის ოქმს (გაფრთხილების ოქმი, გამოცდიდან მოხსნის ოქმი).
- მას შემდგომ, რაც კანდიდატი დაასრულებს ტესტებზე მუშაობას, მან ისე, რომ სხვა კანდიდატებს არ შეუშალოს ხელი, საგამოცდო დარბაზში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ტესტების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს (ადმინისტრატორს), უნდა ჩააბაროს მისთვის გადაცემული ტესტური დავალებები და პასუხების ფურცელი, ასევე ინსტიტუტის მიერ გამოცდის პერიოდში გადაცემული ინვენტარი. კანდიდატს მიეცემა მის მიერ შევსებული პასუხების ფურცლის ქსეროასლი, რის შემდეგაც კანდიდატი ტოვებს საგამოცდო დარბაზს.
- კანდიდატის მიერ ჩაბარებულ ტესტების დავალებისა და პასუხების ფურცელს ადმინისტრატორის მიერ ეწერება კანდიდატისათვის მინიჭებული უნიკალური კოდი, რის საფუძველზეც შემდგომში ხდება ნაშრომების გასწორება.
- ყველა კანდიდატის მიერ საგამოცდო ტესტების ჩაბარების შემდეგ, ხდება ნაშრომების გადაცემა საგამოცდო კომისიისათვის.